

ცოდვათა მიტევება

ს. მ. რეზენიუსი



ცოდვათა

მიტევება



ს. ო. როზენიუსი

Georgian “**ცოდვისათა მიტევება**”

Original Title:	Syndernes forladelse (Swedish) Forgiveness of Sins (English)
Originally published by	© Luthersk Litteraturmission
© Georgian translation:	Luthersk Litteraturmission Dansk Balkan Mission
Author:	C. O. Rosenius
Translator:	Ruslan Tsintsadze (თარგმანი რ. ცინცაძე)
Publishers:	Dansk Balkan Mission 1st edition printed July 2018, 2000 copies
Graphics:	Knud W. Skov, DBM

The translation and publishing of this book has been made joint by two publishers. All rights reserved. No part of this book may be reproduced, stored in a retrieval system, or transmitted, in any form or by any means, electronic, mechanical, photocopying, recording, or otherwise, without the prior written permission of the publishers.

Luthersk Litteratur-Mission
Box 39, Köpmangatan 16
S - 911 21 Vännäs
www.llm.nu info@llm.nu

Dansk Balkan Mission
Br. Roddingvej 5a,
DK - 6630 Rødding
www.balkanmission.dk dbm@balkanmission.dk

Contact in Georgia:
ქუთაისი, გრიგოლ ხანძთელის №24

Soli Deo Gloria!

როგორც მარტინ ლუთერი თავის მრავალ ნაშრომში მოცემულ თემაზე აღნიშნავდა, ცოდვათა მიტევება:

1. ქრისტიანულ დოქტრინაში ეს არის უდიდესი და უმნიშვნელოვანესი საკითხი.

2. ის კომპლექსურად უნდა იქნას გაგებული და შეესაბამებოდეს პიროვნების ცხოვრებას.

3. ეს ის საკითხია, რაზეც ე. წ. გამოცდილი ადამიანები, მაგრამ სულიერად მკვდარნი, ფიქრობენ, რომ მათ ადვილად შეუძლიათ მისი თავის გართმევა.

როგორ გავხდით ქრისტიანები? ეს მოხდა ღვთის მადლით — ცოდვათა მიტევების მეშვეობით. ეს არის ის ერთადერთი გზა, რისი მეშვეობითაც გადავრჩით. მისით შეიქმნა გზა სულიწმიდის მიღებისა. ადამიანს შეიძლება სხვა საკითხებზე არ ჰქონდეს სათანადო ცოდნა, მაგრამ თუ კაცს ღვთის მადლი აქვს — და ცოდვები მიტევებული — მაშინ ცხოვრებით რეალურ ყოფაში, ის უკვე ქრისტიანია. ის სულიწმიდის მიერ უკვე მზადაა, რომ კეთილი საქმეები აკეთოს და მან უკვე მიაღწია ბედნიერებასა და სისრულეს.

ამის საპირისპიროდ, თუ პიროვნებას ეს არ გააჩნია, თუ ღვთის მადლი და ცოდვათა მიტევება რეალური არ არის მის ცხოვრებაში, მაშინ ის ქრისტიანი არ არის. შესაძლოა ასეთი რეგულარულად სტუმრობს ეკლესიას, მაგრამ ქრისტიანი არ არის. შეიძლება რელიგიურ ცერემონიებში მონაწილეობას ღებულობს და მიძღვნილ მსახურებებზეც ჩნდება, მაგრამ ის ხელახლა შობილად არ ითვლება. დიდი მონადინებით ცდილობდეს კიდევ უფლის კარგი მოწმე იყოს, მაგრამ ამ მონობის სატარებლად ძალა არ გააჩნდეს.

იმ შემთხვევაში თუ, იგივე კაცი, იპოვის დაჯერებულობას იმისა, რომ მისი ცოდვები მიტევებულია, მაშინ საოცარი ცვლილებები განხორციელდება. რის შედეგადაც ის გახდება ბედნიერი, კმაყოფილი, თავმდაბალი და მსურველი იმისა, რომ ღვთისათვის იცხოვროს.

მქადაგებელი შესაძლოა მხურვალე სულით შეაგონებდეს მრევლს და ჯოჯოხეთის ცეცხლის შესახებ აფრთხილებდეს. ის შეიძლება გულმოდგინე და მოშურნე მქადაგებელი იყოს, მაგრამ ქრისტე არ იყოს მისი ქადაგების ცენტრი. ყოველი ასეთი ქადაგება ამაოა. ხალხი ღებულობს სწავლებას, რაღაცის რწმენას, გარკველწილად მხილებასაც, მაგრამ მათი გული შეუცვლელი რჩება. მათში სიცოცხლის ნაპერწკალი არ აღინთება. მდგომარეობა მკვდარი, უსიცოცხლო და უნაყოფო რჩება. ეს ჰგავს კარგად დამუშავებულ ყანას, რომელსაც არ უნაყოფებია, ანუ ყამირს, რომელიც უწყლობითაა გამოფიტული.

ხოლო თუ მქადაგებელი ქრისტეს ქადაგებს და თანაც ჯვარცმულს, თუ ცოდვის ძალით დამონებულს მიტევებაზე ელაპარაკება და მისი უწყების ცენტრი მოცემული თემაა — მაშინ მრავალთა გულ-გაქვავებულის დახსნა მოხდება.

დიახ, სწორედ ეს არის, რაც ჩვენ გვანთავისუფლებს. თუ მე ცოდვები მიტევებული მაქვს, მაშინ უკვე ღვთის შვილი ვარ. ამ ცხოვრებაში ამაზე მეტი რაღა ვისურვო? თუ მიტევებული არ მაქვს, მაშინ რა სარგებელი უნდა ვნახო? რა უბედურია ის კაცი, რომლის ცოდვები მიტევებული არ არის. ასეთი ღვთის რისხვის ქვეშ რჩება. მუდმივად წყევლაშია: სახლშია, გადის თუ შედის, სოფლად თუ ქალაქად, უბედურების ჟამს თუ ღვთის სახლში. ასეთი კაცი მთელი ცხოვრება დანყველილია, თვით სიკვდილამდე — და სამარადისოდ.

ასწავლო ადამიანს ცოდვათა მიტევება და სწორად გაატარებინო ის ცხოვრებაში, მეტად რთული საქმეა. განსაკუთრებით უდისციპლინო და ჩამოუყალიბებელი ქრისტიანებისათვის. ისინი განუწყვეტლივ კითხულობენ და მსჯელობენ ღვთის მადლის შესახებ, მაგრამ მას თავისად არ მიიჩნევენ. ეს იმიტომ ხდება, რომ საკუთარ ცხოვრებაში იმდენ სისუსტეს და ცოდვას ხედავენ, სასონარკვეთას და მარცხს განიცდიან. ასეთნი ვერც ხედავენ და ვერც გრძნობენ ღვთის მადლს, მარადიული სიმართლის შესახებ. განიცდიან რა უძლურებას, რაც სხვა არაფერია თუ არა ეჭვის გრძნობა, რომელიც სატანის მიერ თავდასხმითაა გამოწვეული, ვინც დასაწყისიდანვე ცდილობს მათი რწმენის დასუსტებას.

მომეცით უფლება გითხრათ. არ არსებობს ისეთი ქრისტიანი, რომელიც იმდენადაა სახარებაში გათვითცნობიერებული, თუ რწმენაში ძლიერი, რომ არ სტანჯავდეს მისი სულის მდგომარეობის მიმართ შიშები და განცდები. უდიდესი წმიდანებიც კი, რომელნიც ანგელოზთა ენებით აუწყებდნენ ქრისტეს მარადიული სისხლის შესახებ, საკუთარ სულზე მაინც ანუხებდათ დარდი. ასეთნი იყვნენ დავითი, პავლე და ლუთერი.

მრავალს ეს არ ესმის. მათი აზრით ადვილი რამაა ღვთის მადლი და ცოდვათა მიტევება ირწმუნო. პირველად ამ საკითხის შესახებ ნაშრომებს კითხულობენ, ან ქადაგებას უსმენენ და თავისთვის ფიქრობენ, რომ უკვე იციან, რაც საცოდნელია. მათ იმის თქმაც კი შეუძლიათ, რომ გულით აქვთ შემეცნებული სრული მადლი.

ასეთებს ლუთერი ეუბნება, რომ მოცემულ თემაზე მთელი ცხოვრების მანძილზე ზედმეტი ცოდნა არასოდეს გვექნება, თუმცა ბევრს ამ საკითხის შესწავლა

უკვე მოსძულდა. მე თავად მრავალი წელი ცოდვა-
თა მიტევების დოქტრინის შესწავლას, მის შესახებ
ნაშრომების წერას და ქადაგებას მივუძღვენი. თუმცა
მაინც არ შემიძლია დავიკვივხო იმით, რომ უკვე ამ
თემის ექსპერტი ვარ.

რა არის პრობლემა? რატომაა, რომ ადამიანები ასე
მალე რწმუნდებიან იმაში, რომ მათ გაეგებათ ცოდ-
ვათა მიტევება, არადა სინამდვილეში არც არაფერი?
შესაძლოა, მათ არასოდეს უსწავლიათ ის, ან კიდევ
დაკარგული აქვთ ახლად მოქცეული ქრისტიანის მახ-
ასიათებლები — ცოდვის მხილება, შემუსვრილი გული
და ცოცხალი სინდისი. ისინი საკუთარ, ცრუ რწმენაში
თვლემენ. მათ აქვთ მკვდარი რწმენა, რაც ბოროტს
არაფერში არ ანალვლებს.

ო, როგორ მინდა, ყველამ, ვისაც ეს საქმე იოლად
მიაჩნია, გაიგოს, რომ სიტუაცია სახარბიელო არ არის.
თვით დიდი წმიდანებისთვისაც ძნელი იყო ის. ასეთი
„მარტივად-მოაზროვნეობა“ იმდენად მაცდუნებელია
— ის მათი ქრისტიანული ცხოვრების ზრდის დანაღმ-
ვას ახდენს.

ახლა ვისაუბროთ პრელიმინარულ მოვლენებზე.
რეალურად განვიხილოთ საკითხის არსი. საამისოდ
არანაირი ადამიანური კონსულტაცია არ გვესაჭიროე-
ბა. ღმერთია ის, რომელიც ყველა ცოდვას გვპატიობს
და ამას ის, მისი ნებისამებრ აკეთებს. ჩვენ კი როგორ
ვბედავთ ამ მნიშვნელოვან საკითხზე მის სიტყვას არ
დავეკითხოთ! განა გვინდა მოვკვდეთ და ეს მარადი-
ული საიდუმლოება ადამიანთა ხელში გაურკვევლად
დავტოვოთ? რა თქმა უნდა არა. არავის შეუძლია
გვითხრას, თუ ღმერთი, როგორ მიუტევებს ცოდვებს.
ეს ჩვენ მისი სიტყვებიდან უნდა შევისმინოთ. ამიტომ
მივაშუროთ წმიდა წერილს. წერილები კი ცოდვათა

მიტევებაზე ორი განსხვავებული გზის არსებობაზე გვასწავლის: პირველი, არის ცოდვათა მიტევება, რომელიც უკვე მოპოვებული და აღსრულებულია. ის უკვე დასრულებული აქტია. მეორე, არის ცოდვათა მიტევება, რომელიც თავად პიროვნების მიერაა გამოყენებული.

როდესაც ბიბლიას ვკითხულობთ აღმოვაჩინებ ხოლმე აღმაფრთოვანებელ და გასაოცარ ადგილებს. ადგილები რომელიც გაგაკვირვებს. ფაქტია ის, რომ მთელი წუთისოფლის ცოდვები უკვე წაღებული, მიტევებული და დაფარულია იესო ქრისტეს ძვირფასი სისხლის ქვეშ, ვიდრე ნებისმიერი ჩვენთაგანი მოინანიებს ან რწმენის გზას დაადგება. ვიდრე მადლს მიიღებდი, ცოდვათა მიტევება შენთვის უკვე მოპოვებული და შემოთავაზებული იყო. რას ნიშნავს ეს? გასაგებია ის, რომ ბიბლია ამბობს, რეზულტატი და მნიშვნელობა იესო ქრისტე მიერ აღსრულებული გამოსყიდვის მიერ იყო ცოდვათა მიტევება. როცა ქრისტე ჯვარზე მოკვდა, ჩვენ ღმერთს შევურიგდით — ჩვენი ცოდვები მისმა სისხლმა დაფარა — და ურჯულოება ჩვენი შენდობილ იქნა. რომ. 5:10-ში ასე წერია: „მისი ძის სიკვდილით შევურიგდით ღმერთს, როცა მტრები ვიყავით.“ დააკვირდით დაწერილს, კი არ შევურიგდებით არამედ შევურიგდით.

არ წერია, რომ მონანიებით შევურიგდით ღმერთს, არც გულისმიერი სინანულით და არც ჩვენი ლოცვით. არა, ჩვენ მისი ძის სიკვდილით შევურიგდით მას, როცა ჯერ კიდევ ცოდვილები ვიყავით. ამის მიზეზი ჩვენი ლოცვები, კეთილი საქმეები ან მომნანიე გული არ ყოფილა.

შერიგება მისი ძის სიკვდილით მოხდა. ისე, როგორც 2 კორინთელთა 5:19-ში ვკითხულობთ: „ღმერთმა

ქრისტეში შეირიგა ქვეყნიერება, არ ჩაუთვალა მათ მათი დანაშაულებანი და მოგვცა შერიგების მსახურება (შერიგების უწყება).“ „ამიტომ ქრისტეს სახელით გთხოვთ, შეურიგდით ღმერთს.“ ეფესელთა 1:7-ში და კოლასელთა 1:14-ში ჩვენ ვკითხულობთ, „მასში ჩვენ გვაქვს მისი სისხლით გამოსყიდვა, ცოდვათა მიტევება.“ ეს ნიშნავს იმას, რომ ცოდვათა მიტევება, მისი სისხლით გამოსყიდვაა. დანიელის 9:24-ში ჩვენ ვნახულობთ, რომ განსაზღვრულ ჟამს, სამოცდაათი კვირეულის შემდეგ, ანუ ქრისტეს სიკვდილის დროს მოხდა „დანაშაულის აღკვეთა, ცოდვის ბოლოს მოღება, რათა გამოსყიდულ იქნას ურჯულოება და დამყარდეს საუკუნო სიმართლე.“ და ესაიას 53:5-ში წერია, რომ უფალმა აკიდა მას ყველა ჩვენი ცოდვა, „ის კი ჩვენი ცოდვებისათვის იყო დაჭრილი, ჩვენი ურჯულოებისათვის იყო შემუსვრილი, ჩვენი სასჯელი იყო მასზე და მისი ჭრილობებით ჩვენ განვიკურნეთ.“ აი ამ სახით აგვიხსნა ღმერთმა ცოდვათა მიტევება. ამაზე მეტს ჩვენ რაღას გავაკეთებთ? მისი სიტყვები მზესავით ცხადია და მთასავით მტკიცე. ჩვენ მისი სიტყვების ისე მიღება გვმართებს, როგორც წერია და საჭიროა ვიცოდეთ, რომ ღმერთი იმას გულისხმობს, რასაც ამბობს; არც მეტი და არც ნაკლები.

რას გველაპარაკება მისი სიტყვა? რომ კაცობრიობის ცოდვები ერთხელ და სამუდამოდ ქრისტემ იტვირთა. ჩვენი ცოდვები მისი ცოდვები გახდა. ჩვენი ცოდვები მას მიენერა და მან თავად საკუთარი სისხლით სრულად გადაიხადა საფასური. ახლა, როცა მან ეს ცოდვები ნაშალა, ისინი ცოდვილებს აღარ მიეკუთვნება. წარმოიდგინეთ, როცა ერთი პიროვნების ვალს მეორეს მიაწერენ გადასახდელად, მაშინ პირველს არ მოეთხოვება მისი დაფარვა. განა ეს ასე არაა? ზუსტად ასე, დ. მარტინ ლუთერი კატეხიზმოს მეორე ნაწილში ასწავლიდა, „იესომ გამომისყიდა მე, დაკარგული და

მსჯავრდადებული ქმნილება. მან მიხსნა და გადამარჩინა ყოველი ცოდვისაგან, სიკვდილისა და ბოროტის ძალისაგან. მან ეს ვერცხლით და ოქროთი კი არა, არამედ საკუთარი, ნმიდა და ძვირფასი სისხლით — მისი უმნიკვლო სიცოცხლის დადებით, ტანჯვით და სიკვდილით მოიმოქმედა.“ ყურადღება მიაქციეთ, კი არ წერია ქრისტე გამომისყიდის, ან დამიხსნის, არამედ, რომ ეს მან უკვე აღასრულა. ეს ნიშნავს, რომ ცოდვებში დაღუპვა არავის მმართველს, ვინაიდან ისინი ჭეშმარიტად ნაშლილი და დავინწყებული იქნა ერთხელ და სამუდამოდ.

მოდით იოანეს 3:18 წავიკითხოთ: „ვისაც სწამს იგი, არ განიკითხება, ხოლო ვისაც არ სწამს, უკვე მსჯავრდადებულია, რადგან არ ირწმუნა ღმერთის მხოლოდშობილი ძის სახელი.“ ჩვენ ასევე ვკითხულობთ, „ვინც ხელახლა არ იშობა ვერ იხილავს ღვთის სასუფეველს.“ ხედავ, ღვთის სასუფეველის კარი უკვე ღიაა, მაგრამ კაცის გულიც ღია უნდა იყოს ღვთის მისაღებად. მიუხედავად იმისა, ქრისტემ შეგვირიგა და ნაშალა ჩვენი ცოდვები, ყველა მაინც ვერ გადარჩება. ამას ჩვენ მივყავართ ცოდვათა მიტევების მეორე მნიშვნელობამდე. ბიბლია ამბობს, „თუ ვალიარებთ ცოდვებს, მაშინ ის ერთგული და მართალი, გვაპატიებს და გაგვწმენდს ყოველგვარი უსჯულოებიდან“ (1იოან. 1:9). რას ნიშნავს მოცემული აღიარება? ფსალმუნი 32:3-5-დან ჩვენ შეგვიძლია ვისწავლოთ, „როდესაც ვდუმდი ჩემს ცოდვაზე, ძვლები გამიცვითა ყოველდღიურმა გოდებამ. რადგან დღითიდღე მძიმდებოდა შენი ხელი ჩემზე, ზაფხულის გვალვამ შეცვალა სინედლე ჩემი. ცოდვა ჩემი ვალიარე და ბრალი ჩემი არ დამიმაღავს. ვთქვი: ვალიარე ჩემს ცოდვებს უფლის წინაშე და შენ მომიტევე დანაშაული ჩემი ცოდვისა.“ ახლა მოდით ვნახოთ რას ამბობს დავითი, „ვდუმდი ჩემს ცოდვაზე.“ შენ შეიძლება იკითხო: განა ღმერთმა

არ იცოდა დავითის ცოდვა, ვინაიდან მან ყველაფერი იცის ჩვენს შესახებ, თვით იდუმალი ჩვენი აზრები? კი რა თქმა უნდა. რასაც დავითის სიტყვები გვიჩვენებს, არის ის, რომ დავითი საკუთარი ცოდვებით დადიოდა და ღვთისგან განრიდებული, ცოდვის ტვირთს ანუ მის სენს თავად ატარებდა. ნუთისოფელი სავსეა იმ ადამიანებით, რომელნიც „მაღავენ“ საკუთარ ცოდვებს, ანუ ღვთის წინაშე არ აუღიარებელი ცოდვებით დგანან. ასეთი ადამიანები სულიერად მკვდრები არიან. მაშასადამე სიტყვა აღიარება მონანიებას ნიშნავს, ცნორა ცოდვა საშიშ წყევლად და ეძიო მადლი და მიტევება იესო ქრისტეს მეშვეობით. ამის გაკეთება იმიტომ გვმართებს, რათა უკვე მოპოვებული მიტევების თანამონაწილე გავხდეთ.

მაგალითისათვის ყველასთვის ნაცნობი იგავი გავიხსენოთ. იგავი უძღებ ძეზე. იესომ ეს ამბავი არსებული სურათის გასაგებად მოგვცა. მაშინ, როცა ძემ გადანყვიტა სახლში დაბრუნება, მან თქვა, „ავდგები და ნავალ მამასთან, და ვეტყვი, მამა შევცოდე ზეცისა და შენს წინააღმდეგ. ღირსი არა ვარ შენს ძედ ვინოდებოდე. მიმიღე, როგორც ერთი შენი მსახურთაგანი“ (ლუკ. 15). ამ სიტყვებიდან ჩვენ შეგვიძლია ვისწავლოთ სწორი აღიარება და სწორი მონანიება. დაკარგულმა ძემ არანაირი ცოდვა არ ახსენა, მან უბრალოდ თქვა, „შევცოდე ზეცისა და შენს წინაშე.“ მას არ გამოუთქვია ამა თუ იმ ცოდვის უღირსობა, არამედ მან გარკვევით თქვა მე, მე თავად ვარ უღირსი, რომ შენს ძედ ვინოდებოდე. რისი სწავლა შეიძლება აქედან? არ არსებობს ჭეშმარიტი მონანიება, როდესაც პიროვნება მხოლოდ ერთ რომელიმე ცოდვას აღიარებს. სწორი აღიარება გარკვევით ხედავს მსჯავრდადებასა და უღირსობას. ვერ ვიტყვით, რომ პიროვნება მხოლოდ გარკვეულ საკითხებშია მსჯავრდებული და გარკვეულში არა.

მეორე ის არის, რომ უძღვები ძე იქ არ დარჩა სადაც იყო. მან მამის სახლისკენ მიმავალ გზას დაადგა. რაც გვაჩვენებს, რომ ჩვენი ცოდვის აღიარება ყალბია, თუ ღვთისაგან შორს იგივე ქვეყანაში ვრჩებით, ანუ წუთ-ისოფელში და ცოდვაში. უნდა დავტოვოთ ის ადგილი სადაც ვიმყოფებით და ვინყოთ ღვთისაკენ სვლა, იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი აღიარება ნრფელია.

მესამე არის ის, რომ დაკარგული ძე ამბობს, „მიმიღე, როგორც ერთი შენი მსახურთაგანი.“ ნათქვამი, თვით-სიმათლისა და ურწმუნოების მანიშნებელი იყო. მას არ სწამდა, რომ წმიდა მადლით ის კვლავ ძეობას მოიპოვებდა. მისი რწმენით ის ჯერ, როგორც ერთი დაქირავებულთაგანი დაბრუნდებოდა და მძიმე შრომით დაიბრუნებდა ძეობას. მსგავსი რამ ხშირად ხდება მომნანიეთა შორის. დავაკვირდეთ იმას, რომ მამა საერთოდ ყურადღებას არ აქცევს ძის ცდომილ თხოვნას. როგორც ჩვენ ვკითხულობთ, „ჯერ კიდევ (ძე) შორს იყო, (ჯერ კიდევ ნალოცი არ ჰქონდა და მამის წინაშე ცრემლი არ ჰქონდა დაღვრილი), ან რაიმე სამსახური არ გაენია მისთვის, მამამ დაინახა, შეებრაღა, გაიქცა, კისერზე მოეხვია და დაკოცნა.“ ო, რა ღვთაებრივი მიტევებაა. შეუძლებელია ის რაიმეს შეადარო. მამას შეეძლო ეთქვა — „გამშორდი უღირსო და ბინძურო ძეო! შენ მთელი შენი ქონება გაფლანგე! უკვე დიდი ხანია ჩემი შვილი აღარ ხარ!“ დიახ, მას შეეძლო ეს ეთქვა მაგრამ, ასე არ მომხდარა. მას ერთი სალანძღველი სიტყვაც არ უთქვია ძის მიმართ. არც არანაირი ანაზღაურება მოუთხოვია მისგან. პირიქით, მან ბრძანება გასცა, რომ საუკეთესო სამოსლით შეემოსათ, ჩაეცმიათ მისთვის სანდლები და ბეჭედი გაეკეთათ. მისი დაბრუნების გამო დიდი წვეულება გამართა. ხედავ მამის გულს, შეუცვლელს, მონყალეს და მიმტევებელს, მისი ნასული ძის მიმართ, რომელიც საშინელ ცოდვაში იყო. გული, სახლში დაბრუნებ-

ის გამო კი არ მობრუნებულა მის მიმართ, ის უკვე შერიგებული იყო მასთან. უბრალოდ ძეს არ შეეძლო თავისად გაეხადა ის შერიგება, ვიდრე მამის სახლში არ დაბრუნდებოდა. აქედან ვსწავლობთ იმას, რომ ღმერთმა თავისთან უმართლონიც კი შეირიგა, ურწმუნონი და მოუქცეველნი. ქრისტე მათ ცოდვებს იმ დღესვე შლის, რომელთაც ჰპოვეს მიტევება. მისი მიმღებისთვის კი აბრეშუმის საუკეთესო და ბრწყინვალე მოსასხამი მზადაა.

აქ მეოთხე საკითხიცაა, რომლის შესწავლაც გვმართებს. რა ხდება, როცა დაკარგული ცოდვილი მადლს, ცოდვათა მიტევებას და შვილობას ღებულობს? რა ხდება იმ კურთხეულ მომენტში; როცა პიროვნება უფალთან ბრუნდება? ის ინანიებს და ლოცულობს. ღებულობს ცოდვათა მიტევებას და გამზადებულ საუკეთესო სამოსელს. ღებულობს ბეჭედს — ბეჭედს სულიწმიდისა, ანუ მონაწილას იმისა, რომ ძეა და არა დაქირავებული მსახური. მნიშვნელოვანია დანახულ იქნას მადლი, რომელიც მოქმედებაში მაშინვე მოდის, როცა ცხოვრებაში პირველ რწმენის ლოცვას აღვაკვლენთ. იესო ამბობს, „ჩემთან მოსულს, გარეთ არ გავაძევებ“ (იოან. 6:37). ეკლესიის ისტორიაში არ არსებობს ისეთი მაგალითი, როდესაც ცოდვილი იესოს ფეხებთან დაემხო, ითხოვა ნყალობა და უკუგდებული იქნა. იმთავითვე მისი აღთქმა ასეთია, „ხოლო ვინც მიიღო იგი და ინამა მისი სახელი, მისცა მათ ძალაუფლება ღვთის შვილებად გახდომისა“ (იოან. 1:12).

ჭეშმარიტება იმაში მდგომარეობს, რომ შენ, როგორც ღირსი, ასევე უღირსი ხარ იმავდროულად. შენ ღვთის მადლს არ იმსახურებ. არც კეთილი საქმეებით არ შეგიძლია მისი გამოიმუშავება. საქმეებით მის გულს ვერ გამოიწვევ. ამ საქმეების ერთადერთი

მიზანია შენი გული მიდრიკო მისკენ და მან ქრისტემდე მეურვეობა გაგინიოს (გალ. 3:24). შენ მხოლოდ ქრისტეში უნდა ეძიო ცოდვათა მიტევება — საამისოდ მან ხომ შენთვის ტანჯვა აიტანა.

შესაძლოა შენ თქვა: ო, ეს ხომ ყველაფერი ვიცი. მე ვეძიებდი მადლს ქრისტეს მიერ ჯვარზე აღსრულებული საქმის მეშვეობით, მაგრამ ჯერ ვერ მოვიპოვე ის. გულში ჯერ ვერაფერს ვგრძნობ. მსგავსი პიროვნებისათვის პასუხი ასეთია. ნუთუ გსურს ღმერთის მიერ მის სიტყვაში თქმული უკუაგდო? მან თქვა, რომ ყველა ცოდვა ქრისტეზე დადო, ყოველი მათგანი ნაშალა და ზღვის უფსკრულში დაძირა (მიქა 7:19). ქრისტე ამბობს, ყოველს ჩემთან მოსულს, გარეთ არ გავაძევებ (იოან. 6:37). შენ ამბობ, რომ ეს სიტყვები დასაჯერებელი არ არის? შენ ამბობ, რომ ღვთის სიტყვა არაა ჭეშმარიტება, რადგან ვერ გრძნობ, რომ მოგეტევა? ასე უნდა ფიქრობდეს ქრისტიანი? გიჯობს ყური მიუგდო ღვთის სიტყვას და ნუ სახავ მას ცრულ (1იოან. 5:10).

მოდით ახლა სხვა საკითხზე გავამახვილოთ ყურადღება. ცოდვათა მიტევებას განსხვავებული მნიშვნელობა აქვს, რაც ორგვარია: პირველი, გასაიდუმლოებული ანუ დაფარული; მეორე, გაცხადებული ანუ მანიფესტირებული.

პირველთან დაკავშირებით, მხოლოდ ღვთის სიტყვაა შენი მარნმუნებელი. ის არ შეეხება, რაიმე სახის გრძნობას. ეს საიდუმლო მიტევება მაშინვე მიიღე, როდესაც მისი სიმართლის მისაღებად მწყურვალე გულით ქრისტესთან მოხვედი. ნახე, შენ იმნამსვე განთავისუფლდი — ყოველი ცოდვისაგან განიბანე — გამართლებულად გამოცხადდი — და სიცოცხლის ნიგნში ჩაინერე! მაგრამ ამის შესახებ შენ არაფერი არ იცოდი. შენ ასე ილოცე:

ო, ღმერთო, მე შენი ტახტის წინაშე მოვდივარ,
მე ნუ შემომხედავ, არამედ შენს ძეს უყურე,
ჩემში მხოლოდ სიმდაბლეთა,
მხოლოდ მასშია ჩემი ღირსება.

გაცხადებულია ის, როდესაც გულით გრძნობ პასუხს, სულიწმიდით, რომელიც გიმონძებს, რომ ღვთის შვილი ხარ. სამაგალითოდ დავაკვირდეთ იესოსთან მოსულ დედაკაცს (ლუკ. 7:37-50). მას უკვე ჰქონდა დაფარული მიტევება, როდესაც იესომ სიმონს უთხრა, „მრავალი ცოდვა ეპატია მას.“ მაგრამ გაცხადებული ცოდვების პატიება დედაკაცმა მაშინ მიიღო, როდესაც იესომ უთხრა, „მოგეტევა შენი ცოდვები, ნადი მშვიდობით.“

წინა გვერდებზე ვიხილეთ, თუ იესომ თავისი სიკვდილით ჩვენი ცოდვებისათვის, როგორ გადაიხადა. ამ ცოდვათა მიტევებას რწმენით ვღებულობთ და ის საუკუნოდ ჩვენი რჩება. ეს მაღლი ყველდღიური და მარადიულიცაა. ის არასოდეს განქარდება, თუნდაც ცოდვამ შადრევანივით იჩქეფოს. მანამ ვიდრე ქრისტეში რწმენით ვდგავართ, ჩვენ იმავე მაღლში ვრჩებით. ხომ ხედავ, რომ მაღლი ღვთისაგან მოდის და არა ჩვენი საქმეებით. საკუთარი საქმეებით ჩვენ დაღუპვის ღირსნი, ხოლო ქრისტეში მუდამ მართლები ვართ.

მოდით წავიკითხოთ რას ამბობს ბიბლია ამის შესახებ. როდესაც უფალი ძველ აღთქმაში ამ მაღლის სასუფეველზე საუბრობს, რომელსაც იესო დედამიწაზე დააფუძნებს, ის მას „საზეიმო ქალაქს“ უწოდებს (ეს. 33). ის ამბობს, რომ, „არცერთი მისი მკვიდრი არ იტყვის ავად ვარ, რადგან ეპატია დანაშაული მასში მცხოვრებ ხალხს.“ 89-ე ფსალმუნში ღმერთი ლაპარაკობს მათთან დადებულ აღთქმაზე, რომელნიც მისი ძით არიან გამოსყიდულნი. „თუ მიატოვებენ მისი ძენი ჩემს რჯულს და

ჩემს სამართალს არ გაჰყვებიან, თუ ჩემს წესდებებს დაარღვევენ და ჩემს მცნებებს არ დაიცავენ, კვერთხით მოვკითხავ მათ დანაშაულს და გვემით - შეცოდებას. მაგრამ ჩემს წყალობას არ მოვეუშლი მას და არ გავაცრუებ ჩემს ერთგულებას. არ დავარღვევ ჩემს აღთქმას და ჩემი პირით ნათქვამს არ შევცვლი“ (ფსალ. 89:30-34). ახალ აღთქმაში იოანე წერს, „შვილებო! ამას გნერთ იმისათვის, რომ არ შესცოდოთ. ხოლო თუ ვინმე შესცოდავს, გვყავს შუამდგომელი მამის წინაშე — მართალი იესო ქრისტე. ის არის ჩვენი და არა მარტო ჩვენი, არამედ მთელი ქვეყნიერების ცოდვების მიმტეველები“ (1იოან. 2:1-2). ამ წერილში მოცემული ეს მუხლები გვაჩვენებენ, რომ მიტევებული მიტევებულია. ცოდვა აღარ იქნება გახსენებული (ეს. 43:25), დასჯილი ან მნუხარებით მოგონებული, რადგან ის ერთხელ და სამუდამოდ გეპატია.

ზოგ ქრისტიანს სწამს ცოდვების მიტევება, მაგრამ ისინი გამუდმებით სწუხან ცხოვრებაში ჩადენილ გარკვეულ შეცდომებსა და დანაშაულზე, რომელნიც ცოდვად მიაჩნიათ. რა თქმა უნდა ისინი ცოდვაა სინამდვილეში.

მიტევება, ცხოვრებაში ჩადენილ ყოველ ცოდვას — ყოველ ბოროტებას, ყოველ შეცდომასა და დანაშაულს ფარავს. განა რომელიმე შეცდომა და დანაშაული, ცოდვა არ არის? რჯული სრულად მოითხოვს ადამიანს — თავისი გულით, აზრებით, გრძნობებით და ქცევით. ამიტომ ის კაცის ცხოვრებაში ყველაფერს სდებს მსჯავრს, რაც ღვთის სიტყვას ეწინააღმდეგება. ისე, როგორც ქრისტეს სიკვდილმა ყველა ჩვენი ცოდვა გამოისყიდა — ხელით, ენით და ა. შ. ჩადენილი — ცოდვათა მიტევება მთლიანად, ვინც ხარ და რაც გაგაჩნია, სრულიად გფარავს.

ლუთერი მის სამახარებლო ჰომილიების წიგნში აბობს, „პიროვნებამ კარგად უნდა გაიგოს ეს დოქტრინა და ის, რომ ჩვენი ღვთისმოსაობითი ცხოვრება ცოდვათა მიტევების მიღებას მოიცავს. როცა კაცი ღმერთთან მოდის უნდა გაათვითცნობიეროს, რომ არც ცოდვა და არც ღვთისმოსაობა არაფერს არ ნიშნავს. რაც შეეხება ღვთის წინაშე ქცევას, აზროვნებას, საუბარს და საერთოდ ცხოვრებას, მე თავად კეთილშობილურ მხარეს ვიჭერ და მიჩვენია გავექცე ცოდვას და რაც შეიძლება მეტი კეთილი საქმეები ვაკეთო. მაგრამ ღვთის წინაშე დგომისას მე არაფერი ვარ თუ არა ცოდვილი, რომელსაც ცოდვათა მიტევება ჭირდება. მხოლოდ მის შემდეგ შემიძლია თამამად ვალიარო: მე ცოდვა მაქვს, მაგრამ ქრისტეს აქვს სიმართლე. მისი კეთილშობილება ჩემია. მაგრამ ჯერ, არ მიმიღწევია იმ ადგილისათვის, სადაც ცოდვა ვერ მომეკარება.“

ღვთის შვილებისათვის უამრავი საოცარი აღთქმაა. „მის ძეზე“ ნათქვამია (ფსალ. 89:28), პირმო, დედამინის მეფეებზე აღმატებული — რჩეული (მ.4); ყოველი აქ ჩამოთვლილთაგანი მნიშვნელოვანი სახელია. მამა ამბობს, რომ მან საუკუნო აღთქმა დადო. არა ძისადმი მხოლოდ, რადგან ის თავად იყო აღმატებული და ციურ მხედრობათა უფალი ღმერთი (მ.8). მარადიული მადლი რასაც ძე ეძიებდა, მის დაკარგულ შვილებთან მოვიდა. ეს ის შვილებია, რომელნიც მას ერწმუნებთან, მისი გახდებიან და მისი მმართველობის ქვეშ, მისსავე სასუფეველში იცხოვრებენ. ბიბლია ამბობს, „ნეტარია ხალხი, რომელიც სცნობს საზეიმო შეძახილს; შენი სახის სინათლეში ივლიან ისინი უფალო; შენი სახელით ილხენენ მთელ დღეს და შენი სიმართლით მალღდებიან“ (მ. 15-16). დააკვირდით, ღვთის შვილები არა საკუთარი, არამედ ღვთის სიმართლით მალღდებიან.

რა არის ეს ღვთის სიმართლე? რომაელთა 3:21-22-ში ვკითხულობთ: „ხოლო ახლა, რჯულის გარეშე გამოჩნდა ღმერთის სიმართლე, რომელზეც მონობენ რჯული და წინასწარმეტყველნი, ანუ ღმერთის სიმართლე იესო ქრისტეს რწმენის მეშვეობით ყველა მორწმუნისათვის.“ ამ ღვთის სიმართლეში მისი შვილები ამალღებიან და განიწმინდებიან, ვინაიდან ის ჩვენი საქმეებიდან არ მოდის, არც ჩვენზეა დამოკიდებული; **ის უშუალოდ ქრისტეს სიმართლა.**

ახლა შენ იკითხავ: რა მოხდება თუ მადლს მოვწყდები, ანუ ცოდვაში ჩავარდები? ნუთუ სამუდამოდ დაგკარგავ მადლს? ფსალმუნ 89:30-34-ში ვკითხულობთ. უფალი, როცა შევცოდავთ გვეუბნება, რომ მის სიყვარულს არ მოშლის ჩვენს მიმართ და მის ერთგულებას არ გააცრუებს, არ დაარღვევს მის აღთქმას, ანუ არცერთ მის ნათქვამ სიტყვას ჩვენდამი არ შეცვლის. იმავე ფსალმუნში ის გვეუბნება, რომ ის მის ცოდვილ შვილებს კვერთხით და გვემით დასჯის, მაგრამ მის მადლს ის მათგან არ აიღებს. უცხოდ არ ყდერს ეს შენთვის? უთუოდ ხედავ მის შვილებზე არსებულ მადლს (შენზე და ჩემზე) — მაგრამ აღთქმა მის ძესთანაა დადებული. მაშასადამე ის არის ჩვენი უფალი და იმედი — მამის წინაშე ჩვენი შუამდგომელი და ადვოკატი. ჩვენ გამო ის იტანჯა. მან გადაიხადა ჩვენი ცოდვებისათვის და სამართლიანობა დააკმაყოფილა. ამიტომ მის გამო მადლი შეუქცევადია, თუნდაც ჩვენ მისი შვილები ვცოდავდეთ. დაიმახსოვრე! მისი შვილები მის ირგვლივ არის (მ. 7). ისინი რწმენით ეკვრიან მას, როგორც ჩვილი ეკვრის თავის დედას და როგორც დედის წინაშე შვილი წრფელია, ასევე ისინიც წრფელი გულით დგანან მის წინაშე. ისინი არ დაშორდებიან მას. მოინანიებენ თავიანთ ცოდვებს და შეეცდებიან, რომ აღარ გაიმეორონ ჩადენილი. აი, ასეთნი არიან მისი შვილები.

როცა მისი შვილები ცოდვაში ვარდებიან, რას აკეთებს ღმერთი? ის ამბობს, რომ (კვერთხით და ტანჯვით) დასჯის მათ, მაგრამ მის მადლს ის მათ არ მოაშორებს. ეს იგივე იქნებოდა, რაც მის ძესთან ალთქმის დარღვევა. დ. მარტინ ლუთერი ამბობს, „როდესაც ღმერთი ჩემზე მრისხანებს, თითქოს ჩემი მოშორება უნდა, მე მას ვპასუხობ, მაშინ შენი ძე იესო ქრისტე უნდა უარყო, ვინაიდან ის არის ჩემი უსაფრთხოება, ჩემი მცველი და გამომსყიდველი და თუ მას პატივს სცემ, მაშინ მე თავისუფალი და დახსნილი უნდა დავრჩე.“

თუ შევცოდე, ღმერთი მსჯის. სინდისის მეშვეობით მგვემავს და თუ საჭიროა სხვადასხვა განსაცდელსაც დაუშვებს ჩემზე (1პეტ. 1:16). მაგრამ მის მადლს ის ჩემგან არ აიღებს. მადლის სხვა ნიადაგს ეფუძნება ვიდრე ჩემი უცოდველობაა და ამიტომ ჩემს მიერ ჩადენილი ცოდვები მას ვერ არყევს.

გახსოვდეთ, როდესაც ჩადენილი ცოდვის გამო ღვთისაგან ისჯებით; საგვემი კვერთხი გამოჩნდება, მაგრამ მისი მადლი შეურყევლად რჩება. შენდამი მისი სიყვარული უკან არ გაუხმია. ის არ ბრაზობს შენზე. როდესაც შენს თავს აღმოაჩენ ცოდვილს და ტანჯულს, ბნელი ღრუბლებით გარემოცულს — დარწმუნებით თქვი, „ღმერთი არ ბრაზობს ჩემზე. დამსჯის მძიმედ და ხანგრძლივად. ამის გამო გაკვირვებას არ მივეცემი. როგორც მითხარი კვერთხით და გვემით დამსჯი, მაგრამ შენს მადლს არ მომაკლებ. ნებაყოფლობით ვიღებ ამ ტანჯვას.“

მოდით ისევ შევავლოთ თვალი 1 იოანე 2:1-2-ს. პირველი ნაწილი ამ ადგილისა გვაფრთხილებს, რომ უზრუნველად არ უნდა ვიყვეთ. ცოდვის წინააღმდეგ მუდმივად უნდა ვიფხიზლოთ, ვილოცოთ და ვიბრძოლოთ. მაგრამ თუ მტერი (ბოროტი) შემთხვევით

ძირს დაგვცემს, რა თქმა უნდა ეს სამწუხაროა. თუმცა ის უნდა მიეჩვიოს იმ ფაქტს, რომ ჩვენ უცოდველი ვრჩებით. განა ცოდვა არ არის. დაცემის გამო ჩვენ ღვთის წყენას და უკუგდებას ვიმსახურებთ, მაგრამ ეს ასე არ ხდება. ვინაიდან ჩვენ მამის წინაშე შუამდგომელი გვყავს, ის დაცემის მომენტიდან გვიცავს და არ აგვიანებს. თუ კაცი უცოდველია, არანაირი საჭიროება არ აქვს ჰყავდეს ადვოკატი, გამომსყიდველი ან შუამდგომელი. ალბათ ხვდები, რომ ღმერთს არ სურს ცოდვიანი და დამარცხებული ცხოვრებით იცხოვრო. ამიტომ მან შენ ადვოკატი დაგიდგინა. ის იესო ქრისტეა. ის მამის წინაშე მდგომელი ჩვენი ადვოკატია. ის გვიცავს რჯულიდან და მისი გამომსყიდველი ქმედებით, რისხვას გვარიდებს. როდესაც ჩვენი ბრალმდებელი, ვინც „დღე და ღამე ღვთის წინაშე ბრალს გვდებს“ (გამოცხ. 12:10), ჩამოთვლის ჩვენ ცოდვებს და დასჯას მოითხოვს, ამ დროს იესო ჩნდება და საპასუხოდ ამბობს, „დიახ მამაო, ნათქვამი მართალია, რადგან ამ პიროვნებამ შესცოდა. მაგრამ თუ ის რჯულის თანახმად დაისჯება, მაშინ დარტყმა ჩემზე მოვა. ვინაიდან მე ვიტყვირთე მისი ცოდვები და ის მე მენდობა.“ ციური მამა არასოდეს დაივინყებს იმ დღეს, როდესაც დედამინაზე მყოფი მისი ძის შემზარავი ხმა მოესმა. ვალის გადახდას ის მეორეჯერ არასდროს მოითხოვს. რაც იმის მაუწყებელია, რომ ცოდვილი დაცული და თავისუფალია. წმიდა იოანე ამატებს და ამბობს, რომ ქრისტე, ჩვენი ცოდვების შესანდობი მსხვერპლია. რომელი ცოდვების? ყოველი ცოდვის. ეს რომ ასე არ იყოს, მის სიკვდილს აზრი არ ექნებოდა (გალ. 2:21). ქრისტე ყველა ჩვენი ცოდვის გამო მოკვდა: ყოველი, რეალურად ჩადენილი ცოდვისათვის; როგორც დიდი, ასევე მცირისათვის, როგორც წარსულის, ასევე აწმყოსი; ენით, ხელით, გულით თუ აზრებით ჩადენილისა.

ეს არის ღმერთის სიტყვაში მანიფესტირებული დოქტრინა, რაც ყოველდღიურ და მარადიულ ცოდვათა მიტევებას შეეხება. ისეთი ნუგეშისცემის დოქტრინაა, რომლის მოსმენა არცერთ ფარისეველ თუ ცრუ ქრისტიანს არ სურს, რადგან ის მათში მსჯავრდადებას იწვევს.

როცა ჭეშმარიტი ქრისტიანები ცოდვასა და მსჯავრდადებას განიცდიან, ღვთის მაღლი მაინც არ ტოვებს მათ. ქრისტია მათი ადვოკატი.

სხვაფრივ, თუ პიროვნება არ განიცდის სასჯელს, არამედ კვირები და თვეები აგრძელებს ცოდვაში ცხოვრებას დაუსჯელად, ის ამ ცოდვათა ნიაღში მყოფი თვითკმაყოფილი ხდება. ის რა თქმა უნდა უკანონო შვილების რიცხვს მიეკუთვნება და არა კანონიერ ძეებს (ებრ. 12:8). ის სულიერად მკვდარია, თვალთმაქცი — უგუნური ქალწული ზეთისგან გამომშრალი ლამპრით ხელში. ასეთი ცრუ ქრისტიანები ნახალისებულნი არიან, რომ თავიანთი ცოდვის ნაჭუჭში დარჩნენ. მათ არ სურთ ძლიონ ან თავი დააღწიონ ცოდვებს, პირიქით, იცავენ და ამართლებენ მათ. ეს ადამიანები „გარყვნილებად აქცევენ ღვთის მაღლს“ (იუდ. 4). ისინი ნებით ცოდავენ. როგორც მოციქული ამბობს, „ცოდვის ჩამდენი ბოროტისგან არის“ — „ღვთისგან შობილი არ სცოდავს, რადგან ღვთისგანაა შობილი“ (1იოან. 3:8-9). „მაგრამ თუ ვამბობთ, რომ არ შეგვიცოდავს, საკუთარ თავს ვატყუებთ და ჭეშმარიტება არ არის ჩვენში. თუ ვაღიარებთ ჩვენს ცოდვებს, მაშინ ის ერთგული და მართალი მოგვიტყევენ და გაგვწმენდს ყოველგვარი უმართლობისაგან“ (1იოან. 1:8-9).

როგორ გავხდით ქრისტიანები? ეს მოხდა ღვთის მადლით — ცოდვათა მიტევების მეშვეობით. ეს არის ის ერთადერთი გზა, რისი მეშვეობითაც გადავრჩით. მისით შეიქმნა გზა სულიწმიდის მიღებისა.

ადამიანს შეიძლება სხვა საკითხებზე არ ჰქონდეს სათანადო ცოდნა, მაგრამ თუ ვაცს ღვთის მადლი აქვს — და ცოდვები მიტევებული — მაშინ ცხოვრებით რეალურ ყოფაში, ის უკვე ქრისტიანია. ის სულიწმიდის მიერ უკვე მზადაა, რომ კეთილი საქმეები აკეთოს და მან უკვე მიაღწია ბედნიერებასა და სისრულეს.

